

### **ტესტის სახელწოდება:**

საერთო ქოლესტერინის ანალიზი

### **ტესტის ალტერნატიული დასახელება:**

სხვა დასახელება არ გააჩნია.

### **რას იკვლევს მოცემული ტესტი:**

მოცემული ტესტი ადგენს სისხლში ქოლესტერინის საერთო რაოდენობას. ქოლესტერინი ორგანიზმისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ნივთიერებაა, მაგრამ მისი ჭარბი რაოდენობა ზრდის ათეროსკლეროზისა და გულის დაავადების განვითარების რისკს. საერთო ქოლესტერინის ტესტი სწორედ გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებათა რისკის შესაფასებლად გამოიყენება.

### **რისი დიაგნოსტიკისთვის ინიშნება:**

საერთო ქოლესტერინის ანალიზი ხშირად ინიშნება სკრინინგისთვის რუტინული სამედიცინო შემოწმებისას – იგი ექიმს ეხმარება შეაფასოს ათეროსკლეროზისა და გულის დაავადების განვითარების რისკი.

იმ პაციენტებს, რომელთაც გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადების სხვა რისკ-ფაქტორებიც აღენიშნებათ, ან რომელთაც წინა ტესტირებით დადგენილი აქვთ ქოლესტერინის მომატებული დონე, საერთო ქოლესტერინის ანალიზი უფრო ხშირად უტარდებათ და მასთან ერთად ხდება LDL-ისა (დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების ქოლესტერინი) და HDL-ის (მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების ქოლესტერინი) რაოდენობის განსაზღვრაც.

### **როგორ კეთდება ეს ტესტი:**

საჭიროა ვენიდან სისხლის აღება.

### **როგორ მოვემზადოთ ტესტისთვის:**

ანალიზამდე რამდენიმე საათით ადრე შესაძლოა საჭირო გახდეს საკვების მიღებისგან თავის შეკავება. ზოგიერთმა მდგომარეობამ ან მედიკამენტმა შეიძლება გავლენა იქონიოს ტესტის შედეგებზე, ამიტომ აუცილებელია ექიმთან კონსულტაცია და ანალიზისთვის მოსამზადებლად დეტალური ინსტრუქციების მიღება.

### **შედეგების ინტერპრეტაცია:**

საერთო ქოლესტერინის მაღალი დონე დაკავშირებულია გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადების გაზრდილ რისკთან. მაგრამ მხოლოდ საერთო ქოლესტერინის ანალიზის შედეგები საკმარისი არ არის ამა თუ იმ დაავადების დიაგნოსტიკისთვის. მეტიც, ეს ტესტი არ გამოიყენება დიაგნოსტიკური მიზნებისთვის და უფრო წარმოადგენს სკრინინგის საშუალებას, რომლითაც ხდება ათეროსკლეროზისა და გულის დაავადების განვითარების საერთო რისკის შეფასება.

ანალიზის შედეგების ინტერპრეტაცია უნდა მოხდეს მხოლოდ მკურნალი ექიმის მიერ და

მხედველობაში უნდა იქნას მიღებული როგორც სხვა რისკ-ფაქტორები (ასაკი, სიმსუქნე, თამბაქოს მოხმარება, შაქრიანი დიაბეტი, ჰიპერტენზია, დაავადების ოჯახური ისტორია), ასევე სხვა ტესტების - LDL-სა და HDL-ის შედეგები.